# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 371 ხუთშაბათი, 12 იანვარი 1906 წ. გაზეთის № 2977

# კ რ ა ვ ი

საშობაო მოთხრობა ი. პოტაპენკოსი

(დასასრული *)

ასეთს ოცნებებში იყო კოლუპნენკო, როცა პატარა შეგირდმა სამადლობელი ლოცვის კითხვა დაიწყო. კოლუპენკომ საჩქაროდ ლუკმა ლუკმაზედ გადაჰყლაპა, წამოდგა და პირჯვრის წერა დაიწყო.

სასადილო ოთახი დაცარიელდა. კოლუპნენკო ყველაზედ უკან გამოვიდა და კარებშივე ინსპექტორი შეხვდა, რომელმაც თავაზიანათ ჰკითხა:

— რა ნაირად ჩაფიქრებული ხარ კოლუპნენკო, სემინარიის გადაწვას ხომ არა ფიქრობ?

„ეჰე! ეგ კარგი აზრია! სთქვა თავის გულში კოლუპნენკომ. ბოლოკასა და ეკანომს ხომ გამოვწვამდი შიგ! რა სეირი იქნებოდა!“

— არა, მამაო-ინსპექტორო, ეგეთი ფიქრი რა საკადრისია! მოკრძალებით უპასუხა კოლუპნენკომ. მე დღეს ძალიან გავძეხი და იმიტომ თუ გგონიათ აგრე.

— კარგად გასძეხ! კარგად გიქნია. მაგრამ მუხუდოიანმა პიროგმა ცუდი სიზმრები იცის ხოლმე. ეცადე ცუდი არაფერი დაგესიზმროს! გასწი ეხლა ილოცე და დაიძინევი. ხვალ ადრე ადექი, შობა დღეა და გაიხსნილებ კიდევაც. მამა-ეკონომმა მშვენიერი ძეხვები მოამზადა ხვალისთვის. გიყვარს ძეხვები კოლუპნენკო?

— მიყვარს, მამაო ინსპექტორო! ძალიან მიყვარს! — მიუგო კოლუპნენკომ და მხიარულების ნიშნად ტუჩებში გაიღიმა.

კოლუპნენკოს მართლაც გაგიჟებით უყვარდა ძეხვები.

— ასე, ჩემო კარგო. ხვალ შენს საყვარელს ძეხვებს მიირთმევ, ეხლა კი წადი და დაიძინევი!

„არ წავალ დასაძინებლად... გიჟია ოხერი... თოთხმეტი წელიწადია მუდამ საღამოს ამგვარად მერეკებიან დასაძინებლად. დასაძინებლად კი არა, მე ვიცი საცა წავალ... წავუკიდებ ცეცხლს ამ თქვენ მშვენიერს სემენარიას და მერე რაც გინდათ ის მიყავით. მართლაც რა მშვენივრება იქნება და!

ასე ფიქრობდა კოლუპნენკო და თან იმ ოთახისაკენ მიდიოდა სადაც შეგირდები ძილის პირის ლოცვაზედ იდგნენ. მოისმინა ლოცვა და სხვებთან ერთად ბოლოკას წინამძღოლობით საძილო ოთახისკენ გაემართა. გაიხადა და დაიძინა.

ბოლოკა წავიდა. სანთელი ჩაქრა, ჩამობნელდა. ამ დროს მოხდა ის, რასაც თავის დღეში არ მოელოდნენ არც ბოლოკა, არც ინსპექტორი და არც რექტორი.

კოლუპნენკო ჩუმად წამოდგა, წყნარად ჩაიცვა სახელმწიფო შარვალი, სახელმწიფო სერთუკი, წაღები, პალტო და ფეხაკრებით ჩამოვიდა კიბეზედ.

გაიარა უხვად განათებული კარაპანი და გზაზედ ბოლოკა შეხვდა.

— ეჰე, ეუბნება ბოლოკა, თქვენ, ბატონო კოლუპნენკო, ჩვენო კარგო, რატომ ეკლესიაში არ მიბრძანდებით? ეკლესიაში კარგა ხანია მწუხრი დაიწყეს და თქვენ კი ჯერ ისევ მარტო ხართ?

— მე, რასაკვირველია კოლუპნენკო ვარ, ბატონო ბოლოკა, მაგრამ სცდებით, კრავი აღარა ვარ, კრავი აღარა ვარ, რაშიაც თქვენის ბედნიერის თვალით ჩქარა დარწმუნდებით...

მისცა რა ასეთი პასუხი ბოლოკას, კოლუპნენკომ გზა განაგრძო და ეკანომს შეეყარა, რომელიც რაღაც მანქანებით მთავარ დიაკონი კი აღარ იყო, არამედ არქიმანდრიტი.

— ა, უთხრა კოლუპნენკომ, — თქვენა ბრძანდებით მამაო ეკანომო! ნუ გგონია, რომ შენი მეშინოდეს. შენ გგონია აყროლებული მუხუდიანი პიროგებით ამოგავსებინებ მუცლებს! არასოდეს! შენა გგონია, რომ მე უმანკო კრავი ვარ? სცდები. მე თქვენ გაჩვენებთ, როგორი კრავიც ვარ!... თოთხმეტი წელიწადია არ მოგჩვენებია და ეხლა გაჩვენებთ?.. ამ სიტყვებით კოლუპნენკომ გზა განაგრძო.

გავიდა ბაღში, ააცოცდა კედელს იმ საფეხურებით, რომელნიც შეგირდებს გაეკეთებინათ და ქერში ამოჰყო თავი. შევიდა სამიკიტნოში და სრული ერთი ვედრო არაყი გამოსცალა. არაყს ის პირველად სვამდა. მთელი ვედრო წყალსავით გამოცალა და გაუკვირდა ესოდენი უბედურებანი რათა ხდებოდა არყისაგან, რომელსაც წყალსავით არაფერი გავლენა აქვს კაცზედა.

გათავდა რა არაყის სმა, წავიდა და ცოლი შეირთო..

ყველაზე საკვირველი აქ ის არის, რომ ცოლი შეირთო, ადგა წავიდა და ხელახლად კი ცოლიანი კაცი გახდა. თითონაც არ იცოდა, რა ნაირად მოხდა ეს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშე, იყო რომ ის დღეს ცოლიანი კაცი იყო. მერე ვითომ რაო? დიდი რამ მომხდარა, თუ სემინარიელს ცოლი უთხოვნია. საკმარისია, რომ სრული თოთხმეტი წელიწადი უცოლო იყო! ეხლა მოსწყინდა ასე ყოფნა, ადგა და ქალი ითხოვა...

ვიღასი უნდა ეშინოდეს? მამა-ინსპექტორისა თუ მამა-რექტორისა? ან იქნება ბოლოკასი, ხა, ხა, ხა! იმის არავისი ეშინიან, ნიავსაც არ შეიხრის.

და რომ სამუდამოდ ბოლო მოეღო ყველა ამათთვის, აიღო წუმწუმა და სემინარიის შენობის საძირკველს მისცა. ცეცხლი ერთს წუთში გაძლიერდა და სემინარიის შენობა ცეცხლის ალშია გახვეული. ალი მაღლა-მაღლა მიდის, მთელს ქალაქში ზარების რაკ-რუკი არის ატეხილი და ცეცხლის მქრობელი რაზმი საშველად მოჰქრის.

— ზრრ, ზრრ...

— ადექ, კოლუპნენკო, რა დაგემართა! სიზმარში რას ბოდამდი? აკი გეუბნებოდი გუშინ მუხუდოს პიროგებმა საშინელი სიზმრები იცის მეთქი, ადექი დრო არის... მომილოცნია ბედნიერი დღე ქრისტეს შობისა.

კოლუპნენკო შეშინებული წამოხტა, თავი გაიქნ-გამოიქნია და ძლივ-ძლივობით გაახილა თვალები. ძირს მსახური ზარს ძალაზე არტყამდა და ცისკარზედ იწვევდა შეგირდებს.

*) იხ. „დამატება“, № 370.

ეროვნული ბიბლიოთეკა






22 დეკემბერს ტფილისში „სალდათის ბაზარზე“ ყუმბარა გადაუგდეს ყაზახებს. ამას შემდეგ სურათზე ნაჩვენებ სახლს დაუშინეს თოფი და ზარბაზანი. სახლი მთლად გადაიწვა. ბევრი დაიხოცა და დაიწვა ამ სახლში.

შემკრთალს კოლუპნენკოს გული საშინელის სისწრაფით უცემდა, ცოდილობდა გაერჩია, თუ ვინ ულოცავდა შობა დღეს და ბოლოს როგორც იყო წამოილუღლუღა:

—მე... მე ამწუთაში... ამ წუთაში წამოვალ მამაო ინსპექტორო.

ინსპექტორის უკან ამ დროს გამოჩნდა ბოლოკაც და მაშინ კოლუპნენკო დარწმუნდა, რომ ყოველივე ნანახი მხოლოდ სიზმარი იყო და ღვთის წყალობით ბოლოკაც ცეცხლის მსხვერპლი არ გამხდარიყო და თვით კოლუპნენკოც ისევ კრავად დარჩენილიყო... კრავად ამიერიდან და უკუნისამდე.

# შობის წინა დღეს

## I

ნახევრად ჩამობნელებულ, ვიწრო, დაბალ კედლიან ოთახს მკრთალად ანათებდა ხატის წინ ანთებულ კანდელის სუსტი მიმკრთალებული შუქი. ხან ისე ჩაიწყოდა შუაში, თითქოს სიცოცხლე შესწყვიტაო, ხან კიდევ გამოანათებდა, თითქოს ღამის წყვდიადში ციცინათელამ გაანათაო.

ბუხარში ცეცხლს ტკრციალი გაუდიოდა. ცეცხლის სინათლე ოთახის ქვეითა ნაწილს აშუქებდა. ოთახში თბილოდა.

ბუხართან იჯდა პატარა ქალ-ვაჟი. ლოყებ დაწითლებულნი და თვალებ დაპრწყინვებულნი შესცქეროდნენ ბუხარში სამ ფეხზე მდგარ ქვაბს, რომელშიაც მსუქანი ყვითელი დედალი იხარშებოდა. ბავშვებთან იჯდა იმათი დედა კეკე, კოვზი ხელში ეჭირა, ზევით ამოწეულ ქათამს ჩასწევდა ხოლმე ქვაბში და ცეცხლს უკეთებდა.

იქვე პატარა, დაბალ შკაფთან მიმდგარიყო ჩვიდმეტის წლის ქეთე და დიდ მათლაფაზე კვერცხებს თქვლეფდა, ახალ თავ დაბანილს თავზე პირსახოცი წაეკრა და ზევით თეთრი თავსაფარით შეეხვია. ცალი ლოყა და ყური წითლად ატკლეცოდა, შუბლზე სველი თმა რგოლებივით ჩამოჰფენოდა, თითქოს განგებ შავი გიშრის ჩარჩო შემოუვლიათო, ისე უხდებოდა. ისარივით გადარტყმულ შავ წარბებ ქვეშ ცეცხლივით უნათებდა სავსე მოელვარე შავი თვალები. პატარა წითელი ლამაზი ტუჩები უფიცხდებოდა და მალ-მალ ისველებდა. ხან გამოშვებით თეფშზე კოვზს შეაჩერებდა და გულის ცემით სულგანაბული რაღაცას ყურს უგდებდა. სახეზე ბავშვური ატაცება და მოუთმენლობა ეხატებოდა.



ტფილისი.—დიდუბეში მომხდარი ამბები დეკემბერში. ზარბაზნით დაზიანებული ბაბაევის სახლის უკანა მხარე.



ტფილისი.—დეკემბერში ზარბაზნით დაზიანებული სახლი დიდუბეში.

ეს პატარა დაბალი ოთახი წმინდად და სპეტაკად გამოიყურებოდა. ეტყობოდა, ცოცხალი ხელი და თვალი დასტრიალებდა ზედ; განიერ დიდ ქართულ, ფარდაგებ დაფენილ, ტახტზე ერთ თავში ეწყო დაკეცილი ლოგინი, რომელზედაც ეფინა აქა-იქ დაკერებული, მაგრამ სუფთად გატკეცილი ზეწარი. პატარა შავ კამოდზედ გადაფენილი იყო თეთრი მიტკალი და ზედ რაღაცეები ეწყო ლამაზად. სუფთა სუფრა გადაფენილ რგვალ მაგიდაზედ იდგა გაწმენდილი ლამპა და

ჩუქურთმით გამოყვანილი ორი პატარა შანდალი. კედელში დატანებული იყო წალო, საიდანაც ამაყად [გამოიყურებოდა დიდი, გა[...]გაკრიალებული სამოვარი და პატარ-პატარა ქვაბები. [...]უთხეში მაცხოვრის ხატი ეკიდა, რომელიც



ტფილისი. —დიდუბეში ზარბაზნით დაზიანებული ბაბაევის სახლი დეკემბერში. ნახატი გრინევსკისა.



ტფილისი. —დეკემბერში მომხდარი ამბებ დიდუბეში. ზარბაზნის ტყვიით დაზიანებული ფეხი.





სომეხ-თათართა შეტაკება ტფილისში თათრის მეიდანთან დამწვარი სახლები.



მეიდანი. ტყვიით დაზიანებული სახლი.




უშეშობა ტფილისში. —ნახ. როტტერისა.

კანდლის სინათლეზე თითქოს ლმობიერად და მოწყალებით დაჰყურებდა [...]ოთახს.



უნავთობა ტფილისში.—ნახ. გრინევსკისა.

— დედა! მამა ხომ მოიტანს შობის ხეს?—შეეკითხაპატარა მიტრო დედას.

— კი, შვილო, მოიტანს..

— სანთლებსაც ხომ მოიტანს, დედა? ვაშლებსაც, კამფეტებსაც, ჰო დედა?

— კი, კი, მოიტანს შვილო.— უთხრა დედამ ნაღვლიანად.

— ვინ იცის, იქნებ კაპიკიც ვერ მიიღოს!.—ჩაილაპარაკა და მწუხარებით მოეკუმა ტუჩები. არ უნდოდა ბავშვისთვის შეემჩნევინებინა დარდი, დაწვდა და გრძნობით ჩაკოცნა.

— კატოანთ მოიტანეს, დედა! სონაანთ კიდევ მოიტანეს.უჰ, რამდენი ვაშლე! ბი, იმდენი სამთლები! ბევრი, ბევრი. ხეს, დედა! ხეს სულ ქულულოები ასხია... — ტიტინებდა მიტრო.

— ეჰ, შარშან ამ დროს ჩვენც-კი გვედგა აი იქ!—მიათითა რგვალ მაგიდას ხელი ცხრა წლის თმა ბუდურა ვარომ და



სურათების გამოფენა ტფილისში.

ნაღვლიანად მიაშტერა დიდრონი გონიერი თვალები იმ ადგილას, სადაც შარშან შობის ხე ედგა.

— თქვენც, თქვენც მოგიტანთ, შვილებო, შამათქვენი. თუ ღმერთმა გიცოცხლათ და უდროვოდ არ დაგიკარგათ თქვენ ტოლებს, თავის დღეშიაც არ ჩამოგარჩენთ, შვილებო!— უთხრა ბავშვებს დასამშვიდებლად და მიუბრუნდა ქეთეს. —რასა შვრები, შვილო? ჯერ კიდევ ვერ მორჩი? ერთი ლამპა აანთე, ხო ხედავ სულ დაბნელდა!

— დედა, მე ხელები დასვრილი მაქვს კვერცხით და ფქვილით. შენ აანთე, დედაჯან!—უთხრა ტკბილად ქეთემ და შეხედა ღიმილით დედას.

კეკემ ლამპას მოუკიდა და კამოდზედ დადგა. შორიდან ეკლესიის ზარის ხმა მოისმა. საღამოს ლოცვაზედ იწვევდა მლოცველთ.

—- ღმერთო, მიწყალე მე ცოდვილს!—სთქვა კეკემ.— ლოცვისას რეკვენ... დღეს კაცი ლოცვაზედ ვერ მიდიოდეს? ვენაცვალე იმის დიდებას, ვინც იშვა დღევანდელ დღესა! ქმარ-შვილით სავსე ქალი ეხლა ეკლესიაში არ უნდა ვიყო დაჩოქილი? იიი, რასა იქ კაცი, ყველაფერს მოესწრები თურმე, ისეთი დრო დაგვიდგა, ღამე კი არა, დღისითაც საშიშია გავლა.

— აქ კი არ შეეიძლია ილოცო, დედა? თუ აქედან არ შეისმენს? მე მგონი, რომ ღმერთი ყველგან ერთ ნაირად არის,—უთხრა ქეთემ დედას.

— ყველგან არის, შვილო, მაშ გწყალობდეთ მისი ძალა!

მივიდა მაცხოვრის წინ, გადიწერა პირჯვარი, ერთ თაფლის სანთელს კიდევ მოუკიდა, წელზე რაღაცა ზორტი შემოიკრა, დაიჩოქა ხატის წინ და დაიწყო ჩუმად ჩურჩული.

ქეთე კვერცხების თქვლეფას მორჩა, პურის ფქვილი და ყველი დაამზადა ცალ-ცალკე თეფშებზე, შკაფის თავი მიალაგა, ბუხართან მივიდა, ქვაბს დახედა და იქვე ხელი დაიბანა. პირსახოცისთვის კუთხეში წავიდა, მაგრამ მსწრაფად შუა ოთახში შეჩერდა და თვალები ერთ ფანჯარას მიაპყრო. ფერმა გადაუარა და აირია. არ იცოდა, საით წასულიყო. ფანჯრიდან, დაბლად გაბმულ ფარდის ზევიდან იყურებოდა ორი ლამაზი ჟუჟუნა, თაფლის ფერი თვალები, დაკვირვებით ოთახს ათვალიერებდა და ვიღაცას ეძებდა. ქეთემ დააღწია თავი უხერხულ მდგომარეობას, საჩქაროდ ხელები გაიწმინდა, ტახტიდან ნელა შალი აიღო, ფეხაკრეფით მივიდა ბუხართან და ვაროს წასჩურჩულა:

— უყურე, ქვაბი არ ჩავიდეს, ერთ წუთს სონაანთსა ავირბენ, სანელებელი არა გვქონია და იქნებ იმათა აქვთ.

**მ. ვარიყული.**

(დასასრული იქნება)




მექარხნეები მარკსს ახრჩობენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი